# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.33/10/153
(კონსოლიდირებული ტენდერი CON150000018 )

ქ. თბილისი 11 ნოემბერი 2015 წელი

ერთი მხრივ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი გამგებლის ვახტანგ ქიზიყურაშვილის სახით და მეორე მხრივ, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა" (შემდგომში "მიმწოდებელი"), A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2015 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის №2172 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

## 2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (CPV-30197630) (შემდგომში - „საბეჭდი ქაღალდი"), რომელიც აკმაყოფილებს 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON150000018) სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის **400(ოთხასი)** შეკვრა.

2.3 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

## 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2 748 (ორი ათას შვიდას ორმოცდარვა)** ლარს.

3.2 ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 6.87 (ექვსი ლარი და ოთხმოცდაშვიდი თეთრი) ლარს.

## 4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე დასაწყობების გარეშე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე (ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა N8-1), მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

4.5. ანგარიშსწორების ვადა - საქონლის ყოველი ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

4.6. ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.

## 5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, ხოლო ყოველი შემდგომი მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან (წარედგინოს წერილობითი ფორმით) არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

გ) უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე დასაწყობების გარეშე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის ტერიტორიაზე ერთჯერადად მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 5 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული საბეჭდი ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.

დ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) 2015 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენიდან ერთი კვირის განმავლობაში არ დადოს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას.

ბ) სატენდერო კომისიას მიმართოს, შესაბამისი დასაბუთებით, საბეჭდი ქაღალდის ხარისხის გაუარესების თაობაზე, კომისიას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

დ) ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის მთლიანი ღირებულების 1%-ს.

## 6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაზღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3.მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით;

6.4 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6.5 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 7.ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

დანართი №1

## უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

1.ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი)- DoubleA
2.მწარმოებელი ქვეყანა -საფრანგეთი
3. გრამაჟი (გრ/მ$^2$) – 80;
4. სისქე (um) - 107;
5. სითეთრე (CIE) - 165;
6. გაუმჭვირვალობა – არანაკლებ 95%;
7. სიკაშკაშე – არანაკლებ 98% ;
8. ზედაპირის ხაოიანობა ml/min ორივე მხრიდან - არაუმეტეს 150;
9. არანაკლებ 500 ფურცლიანი შეკვრა;

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____